KA021735669602119

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-258 01 / თებერვალი / 2019 წ.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ში მდებარე 16004.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის, დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ის მიმდებარედ არსებული 2974.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობის და 4607.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

”სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების და "სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ში მდებარე 16004.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N61.11.21.016), დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ის მიმდებარედ არსებული 2974.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N61.11.21.020) და 4607.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N61.11.21.756) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყის საპრივატიზებო თანხად განისაზღვროს 3 485 000 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 348 500 (სამას ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 (ხუთი ათასი) ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით:

ბ.ა.) შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების დეზინფექცია და კულტივაცია არაუგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა.

ბ.ბ.) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე სასტუმროს (რომელიც უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 1 (ერთი) ერთეულ სასტუმრო დანიშნულების შენობას) ან არაუმეტეს 2 (ორი) ერთეული საცხოვრებელი სახლის აშენება (მშენებლობა დაწყებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივლისისა), კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება (ხოლო სასტუმროს შექმნის შემთხვევაში, აგრეთვე, ფუნქციონირების დაწყება) 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ამავდროულად, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე შესაქმნელი შენობა/შენობები არ უნდა მოიცავდეს მრავალბინიან სახლს.

4. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

5. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

6. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) და შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე